სამშობლო

შაბათი
5 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 ქ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 302 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 302

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სამშობლო“-ზე
ქ. ქუთაისი. **წელიწადი მეორე.** ქ. ქუთაისი.
გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.
წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ.
რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

პეტრე ივანეს ძე მეფისაშვილი, თამარა გელაზაროვისა და ანტონ სტეფანეს ძე გელაზაროვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ სამ მარტს გარდაიცვალა დაუვიწყარი დედა პირველისა, საყვარელი დიდედა მეორისა და მესამისა,

აპოლონია რამანის ასული
მეფისაშვილისა

და სთხოვენ დაესწრონ მის გამოსვენებას შაბათს, 5 მარტს, დილის 9 საათზე, ჯულუხაძის სახლიდან, ბალახვანის ქუჩაზე, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში და იქიდან სასაფლაოზე.
77 1—1

ქვრივი აგრაფინა ნიკოს ასული კიკაბიძისა, დათიკო და კოტიკო ნიკოს ძენი კიკაბიძეები, ნინო ალექსის ასული მიქაძისა, ნესტორ, კოწია, სოფიკო და კესარია გიორგის ძენი და ასულნი კიკაბიძეები და მაკრინე გიორგის ასული გუგუშვილისა; ოლღა სამსონის ასული კიკაბიძისა, ივანე სიმონის ძე გუგუშვილი, ბენედიქტე, ვანო და პეპიკო ლავრენტის ძენი ლორთქიფანიძეები, ალექსი და სპირიდონ ოტიას ძენი კიკაბიძეები გულითადი მწუხარებით უწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას, პირველი მეუღლისა, მეორენი ძვირფასი მამისა, მესამე საყვარელი სიძისა, მეოთხენი და მეხუთე დაუვიწყარი ძმისა, მეექვსე—მაზლისა, მეშვიდე ცოლის ძმისა, მერვე მამიდაშვილისა და მეცხრე ბიძაშვილის

ნიკო (იგივე გახვა) გიორგის ძის კიკაბიძისას.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, ოლასკურის სასაფლაოზე. გამოსვენება მიცვალებულისა გოსპიტლის ქუჩა, ნესტორ კიკაბიძის სახლიდან.
27 პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 4—3

ქვრივი თ-დ იაგორ სოლომონის ძე ნიჟარაძე, შვილები: სიმონ, რაჟდენ, პელაგია და ელენე ნიჟარაძეები; არეთა (ქოცია) ჩხეიძისა და ელისაბედ ნემსაძისა; სიძეები: საშა ლევანის ძე ჩხეიძე და სიმონ სოლომონის ძე ნემსაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას პირველი საყვარელი მეუღლისა, მეორენი და მესამენი ძვირფასი დედისა, ხოლო უკანასკნელნი დაუვიწყარი სიდედრის

კნეინა ვარდიკო გაბარ მიქელაძის ასულის
ნიჟარამისას.

გამოსვენება მოხდება კვირას, 6 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე სოფელ მალლაკში საკუთარი სახლიდან და დაკრძალვა ამავე სოფლის ზედა მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე.
76 მოსაწვევი ბარათები არ დარიგდება. 2—2

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
რნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ ზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწით-, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყ-ობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთ-**ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ტერს ახალი გამოსული წამლის საშვა-ით. პეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9— და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და და-ვა 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ექიმი ი. ჩარეიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.
1 თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ. 2

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი.
პარასკევიდან, 4 მარტიდან ახალი პროგრამა.
ანდრია ტობოლცევი.
პირველი სერია. სრული ისცენიროვკა ვერბიცკის ქალის ცნობილ რომანიდან „Духъ времени“. ხუთ ნაწილად.
შესასვლელი ბილეთების ფასი: **ლოჟა—85** კაპ. **1—75** კ. **2—50** კ. **3—30** კ.
მოსწავლეთათვის მეორე ალაგზე 30 კაპ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კაპ. თ.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი
პარასკევიდან, 4 მარტიდან ახალი პროგრამა.
ნუ შეაწუხებთ კითხვებით
თანამედროვე დრამა 4 ნაწ. ფედოროვის სცენარიით და ცნობილ მსახიობის ი. ი. მოზჟუხინისა და სხვა რუს გამოჩენილ მსახიობთა მონაწილეობით.
შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ.
მოსწავლეთათვის მეორე ალაგი 30 კ. ჯარისკაცთათვის მესამე ადგილი 20 კ. თ.

6 მარტს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია.

საზოგადო კრება

ქართულ საქვ. საზოგ. ქუთაისის განყოფილების.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის მოქმედების ანგარიში,
2) განყოფილების მოქმედების ინსტრუქციის განხილვა,
3) არჩევნები. 70 3-3

ს./ს. **ი. გოკიელის** შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
მივიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.
მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,
თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქ. კუთხე, სახ. № 3. თ. 11

ექიმი შალვა ქოქოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი № 46
14 ტელეფონი № 87 თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 3 მარტი. დალემის რაიონში ძლიერი საარტილერიო სროლაა. ილუქსტისა და პონევეჟის რკინის გზის გასწვრივ მოწინააღმდეგე ხელით სასროლი ყუმბარებით მოქმედებდა.

კავკასიის ასპარეზი.

ოსმალთა დევნის დროს რუსებმა ტყვეთ წამოიყვანეს 19 ოფიცერი, მათში ორი ექიმი, 250 ასკერი. იხელთეს ერთი პოლკის დროშა.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პარიზელთა იმედი.

კოპენჰაგენიდან დეპეშით იუწყებიან: პარიზში ცნობა მოვიდა, რომ გერმანელნი ახლა ახალი გრანდიოზული შემოტევისათვის ემზადებიანო; ამ მიზნით მათ ერთ ალაგას ნახევარი მილიონი ჯარი დააგროვეს; მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი მთავარ-სარდლის, ჟოფრის მომჰირნეობის იმედი გვაქვს, ამბობენ პარიზელნი. ჟოფრის მომჰირნეობა მათი აზრით შესძლებს როგორც მტრის შეჩერებას, ისე ფრანგების საერთო შეტევის დაწყებას.

მდგომარეობა რუსეთისა და ავსტრია გერმანიის ფრონტზე.

სამხედრო ჟურნალი „რუსკი ინვალიდი“ სწერს: იმის შიშით, რომ რუსეთმა რიგის ყურის დასავლეთით დესანტი არ გადმოსხასო, გერმანელებმა შესაფერი ზომები მიიღეს: ააგეს ძლიერი ბლოკჰაუზი, და ისინი შესაფერათ შემოთხარეს, შემოავლეს მავთულიანი ზღუდეები და ყველაფერი ჯარების მთავარ ბინას ტელეფონით და სხვა ტეხნიკური საშუალებით დაუკავშირეს. როგორც კი გაზაფხული დაიწყო-გერმანელები ამ ფრონტზე უფრო ამოძრავდენ და რუსეთის ჯარს გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ. დვინის ფრონტზე იაკობშტატსა და დვინსკის პოზიციის მარჯვენა მხარეზე ისინი ამ ბოლო დროს შესამჩნევათ ამოძრავდენ: სჩანს ჯარების რაღაცნაირ გადაჯგუფებას ახდენენ. რუსეთის დასავლეთის ფრონტის შუა ნაწილში მხოლოდ დაზვერის მოხდენით კმაყოფილდებიან. ამაზე უფრო გაცხოველებულია მოძრაობა სამხრეთის, ე. ი. ავსტრია-რუსეთის ფრონტზე, სადაც შეტაკებების ინიციატივა ჯერ კიდევ რუსეთის ჯარის ხელშია".

გერმანელთა მზადება.

გაზეთი „ვესტ მინისტერი“ იტყობინება, რომ ლიბავაში, კოვნოში, სუვალკაში და რადზივილიშკაში გერმანელებმა დიდძალი ჰაეროპლანები მოზიდეს გერმანიიდან. რუსეთის ფრონტზე გერმანელებს განუწყვეტლივ მოაქვთ აუარებელი საბრძოლო მასალა და თვით მფეთქავი ყუმბარები. მთელი ფრონტის გასწვრივ მათ მრავალი ჰოსპიტლები ააგეს. გაზეთის აზრით გაზაფხულზე რუსეთის ფრონტზე „დიდ ამბებს“ უნდა მოველოდეთ.

ბულგარელები მაკედონიაში.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ მანასტირსა და მის მიდამოებში ბერძნების და რუმინების მდგომარეობა საშინელია. ბულგარეთის მთავრობამ ისინი „კომიტადჯების“ (პოლიციის უფროსების) განკარგულებაში დატოვა, რომლებიც მათ აწიოკებენ, სცემენ, სძარცვავენ და მერე ატუსაღებენ. ამნაირათ ამ მხარეში ბევრი სოფელი (ნოტიმლი) სულ გაქრა. სამღვდელოება სულ ამოჟლიტეს.

რუმინეთის პოლიტიკა.

ამ ხანათ მიჩუმებული რუმინეთი საგარეო პოლიტიკაზე ისევ ალაპარაკდა. რუმინიის პარლამენტში, როგორც ბუქარესტიდან იტყობინებიან, კამათი გაიმართა საგარეო პოლიტიკაზე. პროფესორმა კუზამ გერმანიის იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოება უკიჟანა, რომელმაც ევროპაში ომის ცეცხლი დაანთო. პროფესორის აზრით რუმინიის ეყვავება უფრო მოკავშირეებთან შეთანხმებით დე ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ბალკანეთზე გავლენის ლოკალიზაციით შეიძლებაო. შინაგან საქმეთა მინისტრი ეწინააღმდეგება ამ აზრს და ამბობს, რომ რუმინიის საზოგადოების აზრი არავისთან პასუხისმგებელი არაა, მაშინ როდესაც მთავრობას ყოველ ნაბიჯზე გაასამართლებენ. ამიტომ მინისტრის აზრით რუმინისათვის უმჯობესია, ჯერ-ჯერობით გაჩუმდეს და გარეშე ძალთა განწყობილების გამორკვევას დაუცადოს და იმავე დროს მხოლოთ თავისი საქმეები აკეთოს.

ბულგარეთი და რუმინეთი.

დუნაიზე კვლავ განმეორდა ბულგარელთა და რუმინელთა შორის საზღვრებზე ინციდენტი. რუმინიის დარაჯთა უფროსს, როცა იგი საზღვრების დასათვალიერებლათ იყო დუნაის ნაპირებზე, თავს დაესხენ ბულგარელნი და დაატყვევეს იგი. მოხდა მეორე ინციდენტი ესეც დუნაიზე იყო, კარაბიის ახლო: რუმინიის აფიცერი ორი დარაჯითურთ ბულგარელებმა შეიპყრეს და მანამ დატყვევებული ჰყავდათ ვიდრე ბუქარესტის მთავრობამ ამაზე სასტიკი პროტესტი არ განაცხადა და მათი

მსოფლიო ომი.

(დღიური).

ბრძოლის ველზე არსად მდგომარეობა არაფრით არ შეცვლილა.

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ასპარეზზე რუსეთის ჯარი მტრის დევნას განაგრძობს: ოსმალეთში კიდევ ბევრი აფიცრები და ჯარის კაცი დაატყვევეს და სამხედრო იარაღიც ხელთ იგდეს.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ფრონტზე რიგის რაიონში კუნძულ დალენსთან ცხარე საარტილერიო სროლა გაჩაღდა (ალბათ ორივე მხრიდან). დვინსკის რაიონში ილლუკსტთან შეტაკებაში გერმანელებმა ახალი შედგენილობის ხელით სასროლი ყუმბარები იხმარეს. რაშია ეს შედგენილობა და რა ზიანი მიაყენა ჯარს, ამაზე არაფერს იტყობინებიან.

საფრანგეთ-ბელგიისა და გერმანიის ასპარეზზე გარდა ვერდენის რაიონისა არავითარი ცვლილება, თითქმის შეტაკებაც კი არ მომხდარა.

ვერდენთან ბრძოლა ისევ შენელდა: ძნელი სათქმელია, თუ რა გზას დაადგება გერმანიის შტაბი. სჩანს საქმე გაძნელდა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა იმის ნიშნები, რომ ვერდენის აღების განზრახვას თავი ანებოს და სხვა ფრონტს მიმართოს. უკანასკნელ დღეს მართალია მდ. მაასის დასავლეთით იერიში და სროლა შესწყვიტეს გერმანელებმა, მაგრამ სამაგიეროთ ფორტ ვოს აღმოსავლეთის ფერდობებიდან ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაანთეს და იერიშით წამოსვლას სცდილობდნენ. ვოევრთანაც ასევე მოიქცენ, რაც გაფიქრებინებს, რომ ისინი ბრძოლაზე ხელის აღებას სულაც არ ფიქრობენ. ფრანგები ვერდენის მთელ ფრონტზე გერმანელთ ყუმბარებს განუწყვეტლივ აყრიდენ და ნებას არ იძლევდენ მათ იერიშით წამოსვლისას. ბელგიაში არავითარი შეტაკება არ მომხდარა.

არც სხვა ფრონტზე და არც ზღვაზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

განთავისუფლება არ მოითხოვა. მერე კი გაუშვეს.

ალბანელთა თათბირი.

ბულგარეთის დედა ქალაქში, სოფიაში, რომელიც ალბანეთის მოღვაწეებმა თავის მოქმედების ცენტრათ აირჩიეს, ალბანეთის 32 მეთაური მოღვაწე სათათბიროთ შეიკრიბა. ამათ ხელმძღვანელობენ: ფაიკ-ბეი, იზაბეი და მუგრებ ბეი. ამაზე დამყარებულებმა რომ ბულგარეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ამას წინათ ალბანეთის დამოუკიდებლობისადმი თანაგრძნობა განაცხადა, ქ. სოფია თავის მოქმედების ცენტრათ აღიარეს. ფაიკ-ბეიმ ბულგარეთის ასეთი თანაგრძნობა თავის სიტყვაში აღნიშნა და კრებას მოუწოდა, რომ ბულგარეთთან სოლიდარულათ იმოქმედოს. თათბირზე გამოტანილი რეზოლიუცია ამბობს, რომ ალბანეთის დამოუკიდებლობას მოპოვება ცენტრალურ სახელმწიფოების ბლოკის გამარჯვებაზეა დამოკიდებული! ალბანეთს მხოლოთ მაშინ შეუძლია იტალიის გავლენისაგან განთავისუფლდეს.

ჯერ „დაქცევა, მერე აშენება".

პარიზიდან გაზეთებს ატყობინებენ, რომ შედგა ამერიკელთა სინდიკატი, რომელსაც 100 მილიარდი მანეთი თანხა ექნება, რომლითაც იგი ომის გათავების შემდეგ ისევ ააშენებს: დაქცეულ ქალაქებს, ფაბრიკა ქარხნებს, გზებს, ხიდეებს და სხვა ბ სხ.

ქრონიკა

რუსეთი.

რუსის კაპიტალი ოსმალეთში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ დოქტორ გოლომაკის სახელზე გასცა კონცესია, რომლის ძალით ხსენებულ კაპიტალისტს უფლება ეძლევა ახლათ დაპყრობილ ადგილებში არზრუმისა და ბითლისის რაიონში სამთო მადნეულობა დაამუშაოს.

კადეტების ამბიტუელობა.

სახელ. სათათბიროს უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც ხვოსტოვი დაესწრო, მას კადეტმა აჯემოვმა პირდაპირ მიმართა სიტყვით, მაგრამ ხვოსტოვმა თავი შეიკავა და პასუხი არ გასცა. მით უფრო რომ მისი მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია. აჯემოვი კი მის შესახებ სჭექდა და ქუხდა; ორატორმა სიტყვა შემდეგნაირათ დაასრულა: „აი როგორ მოქმედებს ხვოსტოვი: როცა იგი ხედავს, რომ საზოგადოების მოძრაობის წინაღმდეგ წასვლა აღარ შეიძლება, მაშინ იგი ცდილობს საზოგადოების გამოფხიზლება თავის მიზნებს შეუფარდოს; მაგრამ საზოგადოების დიდი ხნით მოტყუება აღარ შეიძლება, ამიტომ არის, რომ ამ პოლიტიკის დასაფარავათ ჰქმნიან ათას გვარ ჭორებს, ხმებს, ვითომ მთავრობას ცვლიან, ვითომ ვილაცის მოკვლას აპირებდნენ და სხვა... და, აი, ამას ისინი შინაურ პოლიტიკას უწოდებენ: მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ბულვარის რომანია. და არა პოლიტიკა. ომმა ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა; თუ თქვენ ის კი გრწამსთ, რომ რუსეთი გერმანიას დასძლევს, ნუ თუ იმაში ეჭვი გეპარებათ, რომ რუსეთის ხალხი ჩვენი ახლანდელი მთავრობის, რეკლამისა და სიყალბის მთავრობის დამარცხებას შესძლებს?...

სახელ. სათათბიროს თავმჯდომარე ორატორს ამ სიტყვებზე აჩერებს და წინადადებას აძლევს, რომ წესიერება დაიცვას.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ყრილობის მოთხოვნა.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ყრილობამ ერთ-ხმით დაადგინა სახელ. სათათბიროს მასალმების დეპეშა გაუგზავნოს, რომელშიაც განცხადებულია შემდეგი: ქვეყნის დაცვის საქმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ემსახუროს იგი, თუ განხორციელებული იქნება ის დებულებანი, რაც 17 ოქტომბრის მანიფესტით არის გამოცხადებული, რომლითაც პოლიტიკური, ნაციონალური და სარწმუნოებრივი შეზღუდვა გაუქმებულია და პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ საქმეების გამო დასჯილთა ამნისტიაა გამოცხადებული.

ყრილობას სწამს, რომ სახელ. სათათბირო უთუოდ შეჰქმნის პასუხის მგებელ სამინისტროს, თუ იგი ხალხს დაემყარება. მხოლოდ ასეთს რაც მინისტრს შეუძლია რუსეთი გამარჯვებამდე მიიყვანოს, რაც ქვეყნის თავისუფალ განვითარებას უზრუნველ ყოფს.

ქალთა შრომის ასპარეზის გაფართოება.

გზათა მინისტრის, ტრეპოვის განკარგულებით ვიდრე ომია, რკინის გზებზე მოსამსახურე ქალთა რიცხვი 25°/₀ კიდევ უნდა გაადიდონ. მოსამსახურე ქალთა ცენზი ისევ ძველი დარჩება: არა ნაკლებ საშუალო განათლებისა.

ქალთა საარჩევნო უფლების სასარგებლოთ.

ამ დღეებში მინისტრთა საბჭომ, სხვათა შორის, გადასწყვიტა ქალებს აქტიური საარჩევნო უფლება მიანიჭოს, რომ მათაც შეეძლოთ პირადათ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და საარჩევნო ბიულეტენები თვითონვე წარადგინონ.

ნარკვევი.

გუშინ, 4 მარტს, შესრულდა 50 წელიწადი, რაც პირველათ გამოვიდა ქართული გაზეთი „დროება". „დროების" გამოცემიდან იწყება ახალი ხანა ქართული პოლიტიკის აზროვნებისა, ამიტომ ამ გაზეთის გამოსვლას თავისი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ქართველებისათვის. ამის გამო „სახ. ფურცელს" მოყავს გაზეთ „დროების" არსებობის შემდეგი ბიბლიოგრაფიული ცნობა:

„დროება იყო პირველი პოლიტიკური ორგანო. მაგრამ პერიოდული გამოცემა გაზეთისა თუ ჟურნალის სახით წინადაც არსებობდა ქართულ ენაზე. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში შენახულ ნომრებიდან სჩანს, რომ 1819 წელს გამოდიოდა „საქართველოს გაზეთი" (მოგვეპოვება ერთი ნომერი), ხოლო 1828—32 წლებში თვეში ორჯელ „ტფილისის უწყებანი" რომელთაც ცალკე „სალიტერატურო ნაწილი" ჰქონდა. 1852 წელს დაარსდა ჟურნალი „ცისკარი", ხოლო უკანასკნელის ცალკე დამატების სახით 1862 წლიდან „გუთნის დედა" „ადგილ-მამულის მართვის ფურცელი" ან (1863 წ) „მამულის პატრონების და ვაჭრობის გაზეთი". 1863 წელს ი. ჭავჭავაძემ დაარსა თვიური ჟურნალი „საქართველოს მოამბე", რომელიც გამოდიოდა ერთი წლის განმავლობაში. 1864—67 წლებში კიდევ იბეჭდებოდა სპეციალური ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარობელი".

არც ერთი ზემო დასახელებული გამოცემა არ ყოფილა პოლიტიკურის შინაარსისა, ყველა მეტ წილად ლიტერატურული ან ვიწრო სპეციალური ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ „საქართველოს მოამბე" მოგვაგონებდა რამდენიმე თანამედროვე საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალს.

სულ სხვა იყო 1866 წლის 4 მარტს გამოსული გაზეთი „დროება", რომელიც აშკარად გარკვეული პოლიტიკური ორგანო იყო, თუმცა პირველად სუსტი და უძლური, მაგრამ სხვაფერ შეუძლებელი იყო მაშინდელი ჩვენი სინამდვილის პირობებში.

გაზეთი დაარსა რამოდენიმე შეგნებული ინტელიგენტის პატარა ჯგუფმა გაზეთის გამომცემლობა იკისრა სტ. მელიქიშვილმა, რომელმაც საკუთარი სტამბაც გაიჩინა, გაზეთის რედაქტორი, ხელმძღვანელი და უმთავრესი სულის ჩამდგმელი იყო გიორგი წერეთელი.

„დროების" არსებობის პირველი წლები ასეა აწერილი ამავე გაზეთის 1883 წ. 31 ივლისის ნომერში:

„4 მარტს 1866 წელს გამოვიდა პირველი ნომერი „დროებისა" გ. წერეთლის რედაქტორობით ეს ნომერი კარგა მოზრდილი იყო. ფელეტონს თავისი ადგილი ეჭირა, მოწინავე წერილს თავისი, დანარჩენი ნომერი დაეთმო პოლიტიკას, დაგვიანებულ ტელეგრამებს და მთავრობის განკარგულებას. პირველ მოწინავე წერილში რედაქცია უხსნიდა მკითხველებს გაზეთის მნიშვნელობას, უხსნიდა, რომ საზოგადო კარიდ ყოველ კურიერსაც უა[illegible] უდიესო, თითქო არსებობამით, თუ კურიერი გაზეთებს [illegible] უფრო არ შეგვფერის! [illegible] გადლება ყრუდ დარჩა და გაზეთს არამცა თუ კურიერი, იმისთანებიც კი არ ჰკითხულობდენ, რომელთაც მოცლილი (და ეს მოცლილი დრო ხშირად მთელი დღე იყოს) ჭორებისათვის ჰქონდათ გადადებული.

„მხოლოდ ორიოდ თავგამომეტებული ლიტერატორი შრომობდა მაშინ რედაქციაში და თითქმის გაზეთის ყველა სტრიქონი რედაქციაში იყო დაწერილი. არსაიდამ კორესპონდენციები, არსაიდამ ახალი ამბები, პოლიტიკის წყაროდ მხოლოდ გაზეთ „კავკაზი"-ი, და რაც უფრო საგრძნობელი იყო, არსაიდამ ხელისმომწერლები!... მკითხველი საზოგადოება თუ იყო სადმე, გულცივად ეპყრობოდა გაზეთს. რა „დროება", რის „დროება", ქართული გაზეთი ვისთვის რა საჭიროა! ჰქადაგებდა არა ერთი და ორი, ჰქადაგებდენ მრავალნი და ამ გულცივობით გულს უკლავდენ იმათ, ვინც იტანდა ამ საზოგადო საქმისათვის სიმშილს, წყურვილს უძილო, განუწყვეტელ შრომას და თან ყოველს ამაზე კიდევ ურევს საზოგადოების გულგრილობას, უმადურობას!... დროება გამოიცვალა და შეიცვალა სახე „დროებისაც". პროვინციებში აქა იქ გაუჩნდენ ცხოვრების ნიჭიერი დამკვირვებელნი და თავიანთ ნაშრომით გაუნახევრეს წვალება რედაქტორსა და უმთავრეს თანამშრომლებს. მართალია, ბევრს კორესპონდენციას შესწორება, წაშლა-წამოშლა, როგორც ამბობდენ, გაშალაშინება ეპირვებოდა, მაგრამ სამაგიეროდ გაზეთს უფრო ჩვენებური სახე მიეცა, პოლიტიკა თავის კალაპოტში ჩაჯდა და გაზეთს გაზეთობა დაეტყო".

1869 წელს გაზეთის დროებითი რედაქტორობა და შემდეგ მუდმივი რედაქტორობა იკისრა სერ. მესხმა, რომელიც მაშინ 24-25 წლის კაცი იყო და ისიც იყო დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. იმ დღიდან დაწყებული მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში „დროების" ბედი ერთიან გადაბმული იყო ს. მესხის ცხოვრებაზე—გაზეთის ცხოვრება და ს. მესხის ცხოვრება ერთი იყო. გაზეთი გაიზარდა, გაუკეთესდა, გაფართოვდა და თუ წინად კვირაში ერთხელ გამოდიოდა, ახლა ყოველ დღიურ გაზეთად გადაიქცა.

1883 წ. 9 მაისიდან, ს. მესხი დაავადმყოფების, გამო გაზეთის ხელმძღვანელობა გადავიდა ივ. მაჩაბლ

„ბუნების ბატონი".

(ძველი რვეულიდან).

„ბუნების ბატონი" ჰა, ჰა, ჰა! რა დიდგულობაა, რა დაცინვაა თავისი თავისა, მაგრამ ხუმრობას გარეშე, ოდესღაც ჩემი თავი ბუნების ბატონი მეგონა. განა ახირებული კაცი ცოტაა ქვეყანაზე?

* * *

ერთხელ ზღვის პირად ვიდექ... ზღვა იცინოდა. მე კი წარბ-შეკვრით გავყურებდი მის დაუსრულებელ სივრცეს. ფიქრი ფიქრს გადავაბი, აზრი აზრს ჩავაგრიხე და იმდენად გავთამამდი, რომ ზღვას დაცინვაც კი დავუწყე... რა არის ზღვა? —წყალთა გროვა, საშოა მდინარეთა და სხვა არაფერი!—ვფიქრობდი ჩემთვის. —აი, ახლავე გამოჩნდება გემი, აფრა გაშლილი, მედიდური, ამაყი: გააპობს ზღვის მკერდს, გადმოლახავს მის ტალღებს, დაჰგმობს მის სიდიადეს და შეტევნა-კივილით ამცნობს ქვეყანას თავის ძლიერებას, ადამიანის მოხერხებას, კაცთა გამჭრიახობას... ზღვა?! ჰა,... რა არის ზღვა, ადამიანთან შედარებით—მეთქი.

ზღვა ახმაურდა... ჩემი ფიქრი უფრო ზვიადი, უფრო კადნიერი შეიქნა. მე მის მოლოდინში ავკრიფე ქვები და ხელში ავაბურთავე. „ასე ეთამაშებს—მეთქი—ბუნების ძალთ ხალხის გულისთქმა: როგორც უნდა ისე მოჰმართავს, მოჰხრის ამ ძალებს, თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. რა შეედრება ადამიანის გონებას? იგი შემოქმედია, იგი თვით ღმერთია! ღიმილით ვიძახდი მე და მედიდურად კენჭს კენჭზე ზღვაში ვისროდი.

ზღვა გამიჯავრდა...

მე გავიცინე. „იჯავრე, იჯავრე შე უკეთურო! არც კი მიხვდი, რომ ადამიანი თავს გიყადრებს, კადრულობს შენ ზედაპირზე ცურვა-სიარულს? ადამიანი ზეცაში უნდა დაფრინავდეს, იქ ფერიებთან ერთად უნდა მღეროდეს. სიყვარულის თავისუფლების ჰანგებსა, იქ ვარსკვლავებს უნდა ემუსაიფებოდეს, მზე და მთვარეს ჰბრძანებლობდეს. შენ კი აქ...

ზღვამ ქეჩო აიშალა, აბუტბუტდა პირზედ ქაფი მოიგდო...

ცის კიდურზედ აფრა გამოჩნდა...

მე გამეხარდა, გული მომეცა, ჩემი სიტყვა მართლდებოდა.

მოჰქროდა გემი. ვით ფასკუნჯი მოაპობდა შავ-ბნელ ტალღებს. უდიერად, ამაყად.

ეს მიჯნურის მიჯნურისადმი ალერსი არ იყო, ეს ვაჟკაცისა ქალისადმი აშიკობას არ აჰგავდა. ეს ტოლთა შორის შეჯიბრება არ გეგონებოდათ, ეს იყო ერთისაგან მეორის დამონება, ეს იყო ერთის დამარცხება, მეორესი კი გამარჯვება!

მე ზღვას ნიშნი მოუგე...

ზღვა აიმრიზა, აგორდა მდევივით, ღრიალი მორთო, მაღლა შესტყორცნა თავისი ტალღები. ზეცას მოაგლიჯა შავი ღრუბლები და თავ-პირზედ შემოიბურა. გმინავდა მედგრად, ოხვრა-კვნესით მიდამო დააყრუა, ხრიალი დააწყებინა თავისს ნაპირებს, მთასა და ბარსა,—ცას უხმობდა თავისდა საშველად... დასჭექ-დაჰქუხა ღრუბლებმა ცამაც, პირიდან ცეცხლები გადმოჰყარა, დაიგრგვინა, მოიღუშა, კოკისპირული წვიმა დაუშვა, ჩამობნელდა. ქვეყანად უკუნეთი გამეფდა. მე გავშრი, შევშინდი! წყვდიადმა შთამთქა, ზღვის ღრიალმა გამაბრუა, ცის ჭექა-ქუხილმა თავზარი დამცა.

იქვე ზღვის პირად, ლოდებში ჩავწექი პირქვე და აკანკალებული მაღლა ახედვას ვეღარ ვბედავდი. ბუნების ბატონი, მის მონად, ყურ-მოჭრილ მონად გადავიქეცი. ზღვა ხარხარებდა...

— გემი იღუპება, გევვვ-ვიი! მომესმა გულსაკლავი, ძაღლის ყმუილის მსგავსი ხმა ნავთსადგურის ყარაულისა.

ასტყდა განგაში, ხმაურობა, ყრუ საზარელი ბდღვილი. ჩემი სულიც ხორცს გაეყარა, სიცოცხლე სიზმარივით გადამექცა, ყოფნა ჯოჯოხეთად, ფიქრი—ძრწოლად.

ზღვა კი ისევ ბღაოდა. ცა—სჭექდა, ხალხი სასოწარკვეთილებით ხაოდა...

— უშველეთ... დაიღუპნენ!

ოჰ, უბედურის შვილებო! ზღვა გახდა თქვენი სასაფლაო: ოხ, ოხ!—ქვითინებდენ ადამიანები და თავში ხელს იცემდენ.

მეც გავიხედე ზღვისკენ და საზარელი სურათი დავინახე: მთის ოდენა ტალღები მედგრად აწვებოდა გემის კედლებს და ნაფოტივით ისროდა. გემზედ მყოფნი ერთმანეთს დაბლაუჭებოდენ, ერთმანეთს ზღვაში გადასროლას უპირებდენ,—ბღაოდენ როგორც მხეცები, როგორც ნადირები. გალესილ ხანჯლებივით უვლიდა ეს ხმა ჩემს გულს!.. წამიც და აბობოქრებულმა ზღვამ გემი გადაყლაპა. სამასი და ოთხასი ადამიანი უფსკრულისაკენ გააქანა! მე კვლავ დავემხვე პირქვე და ტირილით მოვრთე.

რა ვიყავ მაშინ? უსუსური, უმწეო მონა ბუნებისა, სტიქონისა!..

ზღვა კი ისევ ხარხარებდა და იქ, სადაც ამ რამდენიმე წამის წინ ჩემი სიამაყე გემი იდგა, მთის ოდენა შავ ტალღას დაგორებდა...

II.

„ჩვენ ბატონები ვართ ამ მშვენიერი ბუნებისა, მარტო ჩვენ ვსტკბებით ამ მშვენიერი სურათებითა—მეთქი—ვეუბნები ერთ საღამოს ჩემს სატრფოს—კატოს—და ჩამავალ მზის სხივებით მოქარგულ ცის კიდურზე მივუთითე.

მაშინ, მე და კატო, ქალაქის განაპირას, ერთ გორაკზე, ვისხედით განმარტოებულნი, ხალხის ცნობის მოყვარე თვალთაგან მოფარებულნი.

ნეტარი და საოცნებო საღამო იყო! მას შემდეგ იმისთანა მშვენიერი საღამო აღარ მინახავს, იმიტომ კი არა, რომ ჩამავალი მზე ძველებურად აღარა ჰფერავდა ხოლმე ზაფხულის ლეგა ღრუბლებს, ან გაღვიძებული ნიავი ყოველ საღამოებით არ დაჰქროდეს ქალაქის მიდამოებში და უმანკო ბავშვივით არ ეტიტინებოდეს მინდვრის ყვავილებს, არა, სანეტარო იყო ეს საღამო იმიტომ, რომ, მაშინ ჩემი თავი ბედნიერზე უბედნიერესი მეგონა. კატოთი მოამაყეს, ჩემი ტოლი და სწორი მეორე არ მეგულებოდა. მისი მფლობელი ცასა და ქვეყანას გავუკლავდებოდი, მისი მიჯნური თვით ეშმაკს შევებრძოლებოდი!..

მიყვარდა კატო ისე, ვით მაისის ვარდს—ღილის ნამი და იადონს—წყნარი, კაშკაშა ღამე! ის იყო ჩემი ოცნება, ჩემი ჩანგის სიმები,—მიზეზი და საფუძველი მთელის ჩემის არსებისა.

მიყვარდა პირველის, გიჟურის სიყვარულით.

ორი-სამი წელიწადი ერთად ვცხოვრობდით და მაინც კიდევ ვერ გამოვფხიზლებულიყავი, ვერ გამეგო, ის იყო ჩემი სუნთქვა, ჩემი ჰაერი, თუ უიმისოდაც შემეძლო ცხოვრება, ფიქრი, აზროვნება...

იმ საღამოთი ხომ სულ მთლად გადარეული ვიყავი..

ამბობენ; გედი რომ სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს, მოიღერებს მშვენიერს კისერს და სიმღერას შემოსძახებსო. ამ უკანასკნელ სიმღერაში იგი გამოსთქვამს თურმე მთელს თავის ვარამს და უსაყვედურებს შავს სიკვდილს ულმობელობას, დაუნდობლობას. მეც სწორედ მომაკვდავ გედივით მომივიდა. მინდოდა ერთხელ კიდევ დავრწმუნებულიყავ „მუდმივი" იყო თუ არა მე და კატოს სიყვარული, სამუდამოთ ერთმანეთისა დავრჩებოდით, თუ ჩვენს ურთიერთობასაც ისე მიელებოდა ბოლო, როგორც მიელება ყოველივეს მთელ-დედამიწის ზურგზე?

ამ გუნებაზედ ვიდექ. გული გადამეტრიალდა; კატოს დუმილი, რომელიც ბოლო დროს დასჩემდა და მისი სევდიანი სახე—მტანჯავდა, მქენჯნიდა.

ვით ხავერდზე მძივით ნაქარგი საუცხოვო სურათი, ისე შვენოდა ველზე წამოწოლილი კატო (თავი ჩემს კალთაში ედო). და მე, მის აზიკს, ცეცხლი მედებოდა... მთვარემ კატოს თვალებში ჩაანათა და ამ თვალებში მთელი სამოთხე და ჯოჯოხეთი ამოვიკითხე.

— რას გაჩუმებულხარ? სთქვი რამე—დამასწრო კატომ და ნაზათ გამიღიმა.

— რა უნდა ვთქვა?.. გიყვარვარ თუ არა?!—სიტყვით ვაქციე ის ფიქრი, რომელიც ამ საღამოს თავიდან არ მშორდებოდა.

— მიყვარხარ...

გეფიცები ამ მშვენიერ მთვარეს და ჩვენ მარტოობას, გეფიცები, აი შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული ნოე გრიგოლის ძე გამრეკლიძე შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 6 მარტს, დღით კვირას, დილის 10 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, უდროოთ გარდაცვალებულის

ნინო სიმონის ასულის გამრეკლიძის

87 სულის მოსახსენებლად. 1—1

მი, რომელიც ღირსეული მემკვი- გამოდგა განსვენებულ ს. მესხის ბნეე და ცხოვლად აწარმოებდა ეთის. ს. მესხის გარდაცვალების შე- ი. მაჩაბელი გაზეთის სრული რე- ტორი ხდება*) და თავის გულის- ეპს მოკლედ ასე გამოსთქვამს 26 ების ნომერში:

„დროებას" ახალი სათაური აქვს, ლი გამომცემელი და ახალი რედაქ- ი ჰყავს, პირველი სრულიად მარ- ლია, მეორე კი მართალია სანახევ- ო. თითქმის ორი თვეა, რაც „დრო- ს" ახალის რედაქტორისა და გამომ- ლის ხელშია. ბევრმა მკითხველმაც ის რომ დღეს მხოლოდ ოფიცია- ურად შეიცვალალ რედაქცია და ნამ- ილად კი ორი თვეა, რაც ეს ცვლი- ბა მოხდა: გარემოება ამ სახით ხელს გვწყობს და თავიდან გვაცილებს ერთს ხამთვნო მოვალეობას—გაზეთის პრო- ამის გამოცხადებას. მკითხველი ჩვენ ტათი მაინც გვიცნობს და ბევრს პირებას აღარ გამოვუდგებით, მე- ოც იმიტომ რომ ეხლანდელს დრო- ს დაპირება ხშირად ცრუვდება სხვა- სხვა მოულოდნელის, ან მოსალოდ- ლის გარემოების გამო. ჩვენ ცოტას პირდებით და ვეცდებით ბევრი ავა- ლოთ. ჩვენ დავპირდებით მკით- ლს საზოგადოებას, რომ თანაგრ- ნობას, აღმოვუჩენთ ყოველსავე პა- ოსანს, კარგს, სასარგებლო მოღვე- ბას და ვდევნით უპატიოსნოს, ავს, სარგებლოს.

საზოგადო ფრაზებიაო!—იტყვიან ვენი. ჩვენც ვიცით საზოგადო ფრა- ბია, მაგრამ განა ქართულს გაზეთს საზოგადო ფრაზების თქმის მეტი არა ეძლიან, როდესაც თვის პროგრამის მოცხადებას აპირებს! მართალია ეს ლო სიტყვებია, რომ შეიძლება კა- ცოვის მიმართულებისთანა პუბლი- სტმაც ორივე ხელით მოაწეროს მ თავისი სახელი და განიმეოროს ვენც თანავუგრძნობთ ყოველსავე ტიოსანს, კარგს, სასარგებლო მოღვ- ებას და ვდევნით უპატიოსნო, ავს, სარგებლოს", მაგრამ მკითხველი ცო- ით მაინც მიხვდებოდა, თუ კი ადევ- თვალი ჩვენს გაზეთს, რას ვეძახით ტიოსანსა და უპატიოსნოს, კარგსა ავსა, სასარგებლოს და უსარგებ- ლო—და თუ აქამდის არ მიხვედრილა, ვლებით შემდეგში მაინც მივახვედ- ით..."

ივ. მაჩაბლის რედაქტორობით „დრო- ბა" გამოდიოდა მხოლოდ ორ წელი- დზე ცოტა მეტს. ძლიერ არ მოსწონდა მაშინდელს მთავარმართებელს დონდუკოვ-კორსაკოვს გაბედული კილო და ოპოზიციონური ხასიათი გაზეთისა. ყველაფერს ი. მაჩაბელს აბრალებდა. რამდენჯერმე დაემუქრა და ბოლოს მისი მოხსენების თანახმად მთავრობამ სამუდამოდ დაჰკეტა „დროება".

გაზეთის უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 1885 წლის 14 სექტემბერს.

სამშაბათს, 8 თებერვალს ჩვენ მოვათავსეთ ჩვენს გაზეთში გაზეთ „დროების" ერთ-ერთი ნომრის მთელ შინაარსს, იმ ფორმითა და სახით, როგორიც ის გამოდიოდა არსებულ დროს.

---

*) გამომცემლობა გ. ქართველიშვილის ხელში ის. ამ შემთხვევისა გამო, გაზეთმა სათაუ- რჩევის ხასიათიც გამოიცვალა.

რუსული პრესა.

მკითხველმა სახელ. სათათბიროს ტრიბუნიდან, დეპუტატების საშუალებით ამას წინათ ბაქოში მომხდარი პოგრომი როგორც იყო გაიგო.

ეს ფაქტი, როგორც გაზეთი „რუსკია ვედომოსტი" სამართლიანად აღნიშნავს, განმეორებაა შარშან მაისში მომხდარ მოსკოვის „პოგრომისა". სწორეთ იმ დროს, როცა მოსკოვის „პოგრომის" ისტორიის მთავრობა იძიებდა და თითქო დამნაშავეთა დასჯას აპირებდა, მოულოდნელათ, თებერვლის შუა რიცხვებში, ბაქოში ამგვარივე „პოგრომი" ატყდა. ამ შემთხვევაში ორი გარემოება იპყრობს ჩვენს ყურადღებას: ერთი ის, რომ მოსკოვის შემდეგ თითქო „პოგრომებს" ახლანდელ მომენტში ადგილი არ უნდა ჰქონოდა, მაშინ, როდესაც ეს ამბავი ბაქოში „ჩვეულებრივათ" ჩატარდა. ჯერ პოლიცია თითქო ვერაფერს ტყობილობს, შემდეგ ფაქტისა, ის დაფაცურდება, მაგრამ ფართო საზოგადოებას საშუალებას არ აძლევს ეს ამბები სხვაგანაც გაიგონ; პრესას უფლება ესპობა, რომ ამის შესახებ მკითხველთ ცნობები მიაწოდონ.

მეორე გარემოება ისაა, რაც ბაქოს „პოგრომს" მოსკოვის პოგრომისგან ანსხვავებს: იქ უმთავრესათ ხელმძღვანელობდენ „კავშირისტები" და იქაურ ბრბოებს შეადგენდენ „ხულიგანი" მამაკაცები. აქ კი—ბაქოში, სადაც ეკულტურო მამაკაცთა რიცხვი გაცილებით სჭარბობს დედაკაცთ. ქალები შეადგენდენ უმთავრეს მასას. ხოლო ხელმძღვანელთა ფიზიონომია და ვინაობა დღემდის გამოურკვეველია.

საერთოდ კი ორივე შემთხვევაში მოსკოვის „ისტორიიდანაც" და „ბაქოს ამბებიდანაც" გამოსჩანს ერთი რამ, რასაც „რუსკია ვედომოსტი" „პოპუსტიტელსტვოს" უწოდებს და რაც ჩვეულებრათ „ნების მიცემას" ნიშნავს...

აი, ამ „პოპუსტიტელსტვოს" გამო იგი სამართლიანათ შენიშნავს შემდეგს:

„გვეგონა, თუ მოსკოვის „პოგრომის" მაგალითი, რომ ლმაც მთავრობის უყურადღებობისა და „დაშვების" პოლიტიკა გამოამჟღავნა, ერთხელ და სამუდამოთ გააფრთხილებდა მას და ასეთ პოლიტიკას ბოლოს მოუღებდა; გვეგონა, თუ დღეს, ამ საშინელ—საზარ ომის დროს ყველასთვის ცხადია, თუ რა საშინელებაა და სახიფათო, არეულებანი და „პოგრომები" ჯარის ზურგს უკან, შინ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი უბედურება ისეთ სამრეწველო ცენტრში ხდება, როგორიც არის ბაქო; და, მიუხედავათ ამისა, ბაქოს „პოგრომი" ვერც წინასწარ იქნა თავიდან აცილებული და ვერც თავის დროზე შეაჩერეს. ძნელია—მოიძებნოს ამაზე უფრო მძიმე საბუთი და ნათელი, ხმამაღლა მოლაპარაკე ფაქტი, რომელიც შინაური მდგომარეობის ანორმალობას უკეთ მოწმობდეს".

მართლაც ძნელია და შეუძლებელიც, ვიტყვით ჩვენ, მაგრამ ყოველივე ამას თავის დროზე უნდა გათვალისწინება.

ახალი ამბავი.

ქუთაისი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა აუწყებს ბ. საზოგადოების წევრთა რომ კვირას 6 მარტს დილის 11 საათზე სადგილმამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება: კრებამ უნდა აირჩიოს სამი წარმომადგენელი ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლათ და სარევიზიო კომისიის გამგეობის ორი წლის ანგარიშის განსახილველად. გამგეობა სთხოვს წევრებს დაესწრონ კრებას და მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

✦ პ. დ. ს. გადმოცემით მეფემ უმაღლესად კეთილ ინება, რომ დღეიდან საეკლესიო საკითხების უკეთ მოსაწყობად და მის ყოველ მხრივ გასაშუქებლად საეკლესიო საკითხის განხილვის დროს მონაწილეობას მიიღებს უწმინდესი სინოდის ერთი უპირველესი წევრი. ეს დადგენილება შედეგია იმ მოხსენებისა რომელიც სინოდის ობერ პროკურორმა 1 მარტს წარუდგინა მეფეს ცარსკოე სელოში.

✦ პ. დ. ს. სათათბიროში სახალხო განათლების კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, რომ სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტებს დოქტორებს მიენიჭოსთ იმპერიაში უფროსი დოქტორი მაგისტრობის ხარისხი.

✦ თბილისის ქართულ გიმნაზიის სამოსწავლო სამზრუნველო კომიტეტმა თხოვნით მიმართა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ წელს ხსენებულ გიმნაზიის მე-8 კლასში კურსის დასამთავრებელი გამოცდები შეღავათით მოხდეს ამ დღეებში ასეთივე ხასიათის თხოვნით მიჰმართავს მზრუნველს ქუთაისის ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტი. ორივე გიმნაზიის კომიტეტი იმედოვნებს, რომ მათი კანონიერი თხოვნა მზრუნველისგან შეწყნარებულ იქნება.

✦ ამას წინათ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ „აღმასრულებელი" ფურცელი გამოიტანა სასამართლოდან ყველა იმ პირზე, რომელსაც ქალაქის მიწები ჰქონდა იჯარით აღებული და საიჯარო ფული არ წარადგინა. ფურცლები უნის ბოქაულებს გადაეცემათ სისრულეში მოსაყვანათ.

✦ ჭიათურის შავი ქვის საბჭოს გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სამხედრო მიმოსვლის უფროსის წინაშე,—შესცვალონ განკარგულება, რომელიც შეეხება რკინისა და ფოლადის რეკვიზიციას, რადგანაც ეს დიდათ შეუშლის ხელს ჭიათურაში შავი ქვის მუშაობას

✦ სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, მიეცეს ქალაქს 4,600 მ. სანიტარულ საჭიროებისათვის.

✦ 8 მარტს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში დანიშნულია ქუთაისის საერობო აგრანომთა კრება, სადაც გაირჩევა საყურადღებო საკითხები.

✦ ქალ. სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ ქიმიურ ლაბარატორიაში გაგზავნა სხვა და სხვა საეჭვო სანოვაგე შესამოწმებლათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ღვინის ნება დაურთველათ გაყიდვისათვის დააჯარიმა სასტუმრო „როსიის" პატრონი არ. ტ. დავითულიანი 15 მანეთით ან სამი დღის ციხეში ჩაჯდომით, დ. ზუგდიდის მოვაჭრეები ად. პ. პაჭკორია და გ. პ. პატარაია 15—15 მანეთით პირველი წუმწუმაზე, მეორე თივაზე ფასის მომატებისათვის.

✦ კავკასიის საოლქო სამხედრო სასანიტარო ინსპექტორი ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ ქ. სოხუმის შუამდგომლობა, რომელიც შეეხება ქალაქის საავადმყოფოებში დაბალსა და მაღალ თანამდებობაზე მოსამსახურე საექიმო პერსონალის ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებას, მათ უფლებაა არ შეადგენს და 3 ენკენისთვის 1914 წლ. უმაღლესი ბრძანების თანახმათ, ჯარში გაწვეულ ექიმის გაგზავნა კერძო საავადმყოფოებში აკრძალულია.

✦ ოლდენბურგის ქუჩაზე „დარაჯს" ალექსანდრე ხუნდაძეს უეცრათ გაუვარდა თოფი და დასჭრა ფეხებში მეორე დარაჯი ბესარიონ ადამაძე.

შეცდომის გასწორება.

„სამშობლოში" დაბეჭდილ „სინათლის" სასარგებლოდ გამართულ საღამოს ანგარიშში შეცდომით გამოტოვებული იყო დ. ბ. მდივანის მიერ შემოწირული ხუთი მან. ასე, რომ საღამოს წმინდა შემოსავალი არის 1662 მ. 45 კ.

იმავე ანგარიშში გამოტოვებულია ქ. ელენე კლდიაშვილის ასული, რომელმაც შემოსწირა ყვავილები.

თეატრის ქრონიკა.

ორშაბათს, 7 მარტიდან ქალაქის თეატრში დაიწყება თბილისის რუსული დრამის „ტარტოს" გასტროლები გამოჩენილი მსახიობ ქალის ქ-ნ **ვასილჩიკოვას** მონაწილეობით.

დასს რეპერტუარში აქვს ახალი საგანგებო პიესები სახელ განთქმული მწერლებისა. დასში იმყოფება აგრეთვე ახალგაზდა რეჟისორი ალ. **წუწუნავა**, რომელმაც თბილისის თეატრალურ საზოგადოების წინაშე დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა წარმოდგენის დღეები ცალკე აფიშებით იქნება გამოცხადებული.

სასურველი განზრახვა.

ჩვენ ერი ისე სუსტი და უძლური ნივთიერათ, რომ ყოველი ეროვნული საქმე იძულებული ვართ დავიწყოთ შემოწირულებით და ქველმოქმედებით.

თუ სხვა ქვეყნებში თეატრებს, თუ სხვა ასეთგვარ სახალხო დაწესებულებებს სათანადოთ გადადებული თანხიდან აშენებენ, ჩვენ გროშ-კაპიკით ვლამობთ საქმის განხორციელებას.

ამ მიზნით, შაბათს, 6 მარტიდან, ქ. ქუთაისში ჩილინგაროვის საკონდიტეროსთან ერთი კვირით მოეწყობა „სახაიე—კაფე", რომლის წმინდა შემოსავალიც გადაიდება ქ. ქუთაისში ქართულ თეატრის ასაგებ ფონდის შესადგენად.

დარწმუნებული ვართ, ქუთაისის პატივცემული საზოგადოება განურჩევლათ წოდების მიმართულებისა და ეროვნებისა, გულმხურვალეთ შეხვდება ამ დაწყებულებას, და მასში თავის წვლილს შეიტანს საეროვნო საქმის დასაწყებად.

ირ—დი.

სახელმწიფო სათათბირო.

3 მარტის სხდომა.

ველიხოვი არ იზიარებს იმ აზრს, რომ ჯერ გამარჯვება და მერე შინაური რეფორმების მოხდენა, როგორც ამას მოითხოვს მემარჯვენეები. რეფორმები სწორედ ასეთ მომენტშია საჭირო, რომ რუსეთის სახელმწიფო დასნეულებულ ორგანიზმს განკურნება მიეცეს. რეფორმებია საჭირო ქალაქის შინაურ თვითმართველობის საქმეში: სახელმწიფო მართვა გამგეობის საქმეში საჭიროა მეტ ნიჭიერ ადმინისტრატორების მოწვევა, ქალაქის მცხოვრებთა და ქალაქის მმართველობის ადმინისტრატიულ ოპეკისგან გათავისუფლება. ორატორი დაასკვნის, რომ რეფორმის დაუყონებლივ მოხდენა აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო. ველიხოვის სიტყვას ტაშის ცემით მიეგებენ.

ნოვიკოვი მეორე. მოაგონებს სათათბიროს, რომ კომისიას ადგილობრივ თვით მართველობის ტიპის შესამუშავებლად 8 წელიწადი დასჭირდა, მაგრამ დღესაც სამწუხაროდ, პრაქტიკულად ნაბიჯი არაფერი მიუღია, მემარჯვენეები კვლავ მოითხოვენ რეფორმების ბრძოლის ველზე გამარჯვებამდე გადადებას, მაგრამ დღეს ამ გზით სიარული ყოვლად შეუძლოა, ვინაიდან დღეს ყველასათვის სინამდვილეა, რომ თვით ცხოვრებამ წამოაყენა რეფორმების აუცილებლობის უტყუარი საბუთებიო.

თვალი გადაავლეთ ამა, თუ იმ ქალაქის მოღვაწეობას ომის საქმეში და თქვენ დარწმუნდებით, რომ იმას რასაც მთავრობა არ ანხორციელებს ჰქმნის თვით ცხოვრება—ხალხი; ერთი სიტყვით, რეფორმები დაუყონებლივ უნდა მოხდესო. (ტაშის ცემა).

გრონსკი. აცხადებს, რომ ამ სამიოდე წლის წინად სახ. საბჭომ უარყო მესამე სათათბიროს დადგენილება რეფორმების მოხდენის შესახებ, რასაც, იმედია, დღეს, გაცნობა რა საბჭო მდგომარე მომენტის ხასიათს, შეცდომას აღარ გაიმეორებს.

სკობელევი. გრონსკის შემდეგ კათედრაზე ავიდა სკობელევი, თავმჯდომარემ სკობელევს სიტყვა წაართვა. სკობელევის სიტყვა ცენზურამ დაკავა.

მამა ტრეგუბოვმა გრონსკისა და ნოვიკოვის სიტყვას მხარი დაუჭირა.

ნოვიკოვისა და გრინსკის აზრს მხარი დაუჭირა აგრეთვე სტეპკოვსკიმ.

ბაკა ჩხენკელს თავმჯდომარემ სიტყვა წაართვა. ჩხენკელის სიტყვა ცენზურამ დაკავა.

მარკოვი მეორე. აცხადებს: ის დროს, როდესაც მთელი ყურადღება საჭიროა მიექცეს ბრძოლის მსვლელობას და გერმანელთა ძალმომრეობას შინაურ რეფორმებზე ლაპარაკის დრო არ არისო. მას უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ვოლკოვსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია საჭირო რეფორმებზე ზრუნვაო. (ცენტრში ტაშის ცემა).

გრაფი კაპნისტი. აცხადებს, რომ ერობის მომხრე ოქტომბრისტები, რეფორმების შემოღებას აუცილებლად მოითხოვენ, (ტაში ცენტრში და მარცხნით კამათი დასრულდა, საკითხი მიიღეს.

პროვინციის ცხოვრება.

სადმელი-რიცეული. (რაჭის მაზრა). ერთი შეხედვით დიდ სიამოვნებას განიცდის ადამიანი, როდესაც ამ პატარა ბაზარს თვალიერებ. წვრილი კრედიტის ამხანაგობა, წიგნ-საცავ-სამკითხველო, ორ-

---

ოგვაუზე ქალაქს, გეფიცები ცისა ტყუანსაო!.. გულიანათ მითხრა კა- , კისერზე ხელები მომხვია, მომე- სა და მერე თვალები მილულა... მე ს ჩავაშტერდი...!

სად გინახავთ ზაფხულის ღრუბლიან , როგორ საზარლად სჩხავიან და ფო- ობენ ჰილ-ყვავები? სწორედ ამ ყვავებივით წამომეშალენ გულის სი- დან შავი ფიქრები, როდესაც კა- სახეს დავყურებდი. ეს მშვენიერი ლოზი სახე, ეს ღვთაებრივი თვალე- სიყვარულით ვიცი.

რამ რა ვიცი რა აზრი უტრიალებს თავში, კატოს ვინ იცის ახლა ჩემი ლოვე, ჩემი ალერსი ამ წუთში სხვა ყოფილ სატრფოს აგონებს იქნე ამ წუთში, როდესაც სხეულით ან არის, აზრით სხვასთან დაფრინავს ალერსება, სხვას ეტრფის! რატომ მ არ შეუძლიან კაცს წაიკითხოს ის ფიქრები, ცარიელი სიტყვები რა ია ამისი, რაც ახლა, ამ მშვენიერ ლის იქით, ტვინის უჯრედებში, ხდე- ფიქრ! გავიფიქრე და გულმა კვნესა ყო..... ჩემი თავი უბედურად წარ- ვგინე. მივხვდი, რომ ბუნებას მეც სულ-მოკლე და გულვიწრო გაუჩე- , როგორც სხვა ყოველივე სულ- ელი....

ამიანის სურვილსაც საზღვარი ჰქო- ბურბუშელასავით აშნაპრიალა ჩემმა მოკლეობამ, ჩემმა ეგოისტობამ. ამ ში ისეთ ვიყავ მივვარდნოდი კატოს მეღრჩო, გამენადგურებინა, მომეს- ეგი დედამიწის ზურგიდან და მეც ან მოვესპობილიყავ! კატომ შეფოთვა ტყო. წამოიწია, ალერსიანათ გამიღიმა, ცა და ხმელეთი კვლავ გამახსენა და გულიანად გადამკოცნა, თვარე მაღლიდან ილიმებოდა. ამ კოცნამ დამამშვიდა. კეკლუცმა ქალმა და მშვენიერმა ბუნებამ, მე—„ბუნების ბატონი".—კვლავ დამიმონეს!...

III

წინათ გრძნობამ არ მომატყუა. კატოს სიტყვა და აზრი სხვადასხვა ყოფილა. ლამაზი შუბლის შიგნით, ჩემთვის არა ლამაზი აზრი დაჰბადებოდა. ერთ მშვენიერ დღეს სხვას წაჰყვა.... მე მოვბეზრდი. აი, აქ, გულის სიღრმეში, დავიმარხე მისი სახე და დაჩაგრული ღრუ-ტყეს მოვედი.

დაღონებული ვიჯექი დაბურულ ტყეში და ნაღვლიანად შევყურებდი ას-წლოვან მუხებს. ნეტა თუ თქვენც ისე მოგწონთ და გიყვართ ტყე, როგორც მე?! ტყე უღრანი, ტყე დაბურული, მედიდურად რომ შეჰფენია მთის კალთებს, მეფურად რომ მოუხავერდებია მიდამო და გარინდებული სარდალივით გამოჰყურებს მოტიტვლებულ სოფელ-ქალაქებს.

ტყე!.. ეს ხომ მთელი საიდუმლოებაა, მთელი სიცოცხლეა!

ფიქრები წასულს ას-წლოვანი მუხები მაგონებდენ შორეულ წარსულს, რაღაც საოცნებო, საარაკო, ქვეყნებს. მათი ფოთლების შრიალი მიამბობენ დევების ზღაპრებს, მათი დუმილი მაგონებენ ჩემ მწარე წარსულს. ოხ ტყევ, ტყევ! მიყვარხარ მისთვის, რომ ხალხივით გულ-ჩათხრობილი ხარ, ტაშს უკრავ გრგალს და ქედს არ იხრი ქარიშხალის წინაშე!...

მაშ.... იცოცხლე, გაგიხარდეს ღმერთმა შენი პაწია ქორიფები, გრუზა ბუჩქები, დიყა-ბალახები, მთის წყარო და მალხაზი ჩიტუნები!...

დიდხანს ვიჯექ ერთ ადგილას და ტყის საიდუმლო ხმაურობას ყურს უგდებდი. იქვე, ჩემს გვერდით, ნაკადული რაღაცას მღლუკლუკებოდა. ბუჩქის ძირას ამოსული გვირილა მიღიმოდა და ნაკადულის პირად გაბარჯღლული ბორხვენა, თითქოს ლოცულობსო, თავს აკანტურებდა. ტყეკი სდუმდა, ბურანში იყო წასული, მხოლოდ განზე გამდგარი ვერხვები განუწყვეტლად შრიალობდენ და დაუღალავად ირხეოდენ თითოეული ბალახი, ღერო, ბუჩქი, თუ ჩიტი თავისს საკუთარის სიცოცხლით ცხოვრობდა. ჩემი ჯავრი არავის ჰქონდა.... ვერ მამჩნევდენ. ჩემი თავი ობლად, უპატრონოდ ვიგრძენ.

ბოლოს ადამიანურმა გულზვიადობამ დამძლია და ტყეს შევძახე:

— რას გაჩუმებულხარ, შე პირქუშო, მითხარი რამე! შენც ხომ ზღვა არა ხარ, რომ გემი დამიღუპო, ქალი ხომ არა ხარ რომ სიყვარული გამოიცვალო? სთქვი რამე!

მაგრამ ტყე ისევ სდუმდა და თითქოს გაეცინა, მარტო ერთხელ დაგმინა.

უცბად მეორე ხევიდან ხმა მოისმა.—ვინა ხარ? გადავძახე აქედან.

— მე.... ადამიანი ვარ!—შემომძახა უჩინარმა. შევკრთი. ალქაჯების ხმათ მომესმა ეს ძახილი.

მიმოვიხედე, ტყე სიბნელეს მოეცვა. ჩამოვიფხატე თავზე ქუდი და სოფლისაკენ მოვუსვი.

ტყემ სიცილ-ხარხარი დამაყარა. „ბუნების ბატონი". ბუნების საიდუმლოებას გამოვექეცი! სოფელში რომ ჩავედ და დავფიქრდი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ.... ბუნების შვილი თურმე ბუნებასვე ემორჩილება..

ია ეკალაძე.

კლასიანი სამინისტრო და ქალთათვის ხელსაქმის სკოლა, ფოსტა,—ტელეგრაფი აფთიაქის მაღაზია. ასე რომ ერთი სიტყვით მოგაგონებთ ყოველმხრივ შემკულ პატარა კუთხეს. მაგრამ თუ ადამიანმა ხანი დაყო და არსებითად გაეცნო ხსენებულს, დაბის მდგომარეობას სულ სხვა სურათი გადაეშლება თვალწინ. სამკითხველო (რომელიც არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე არსებობს) ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია. არავითარი სახსარი არა აქვს არსებობისა. წევრთა რიცხვი ძლიერ ცოტაა, და ისიც, როგორც სჩანს, მხოლოდ ფიქტიური წევრები არიან. ბევრს მათგანს დღიდან სამკითხველოს გახსნისა, დღემდი ერთხელაც არ გადაუხდია საწევრო გადასახადი. წიგნები სამკითხველოში ცოტაა. ბევრს წაუღია წიგნები ერთი წლის წინად და დღემდისაც არ დაუბრუნებია. ჟურნალ-გაზეთები ძლიერ ნაკლებათ მოსდის.

განზრახულია ამ დღეებში ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები გამოიწეროთ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი მასწავლებელი. სამკითხველოს უსახსრობის გამო მუდმივი მეთვალყურე, არა ყავს და სხვა პირს აქვს მინდობილი, რომელიც უსასყიდლოთ მსახურობს. მას ხშირად არა აქვს თავისუფალი დრო მოსწავლეებს ყველას ერთად საკითხავი წიგნები გამოუცვალოს. უმჯობესი იქნებოდა საყმაწვილო წიგნებს თვით ერთი მასწავლებელთაგანი წაიღებდეს სამკითხველოდან და დაურიგებდეს მოსწავლეებს. ცხრა მარტისთვის დანიშნულია წვრილი კრედიტის ამხანაგობათა წლიური კრება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კრება გადასდებს, სამკითხველოს სასარგებლოთ რაიმე თანხას. დიდი ენერგია მართებს სამკითხველოს გამგეობას, რომ სამკითხველოს საქმეები მოაწესრიგოს, თორემ ამ გვარ პირობებში მისი არსებობა ყოვლად შეუძლებელია.

დიდი ხანი არ არის რაც აქ ამხანაგობამ გახსნა აფთიაქის მაღაზია. ჯერ-ჯერობით ვაჭრობაც აქვს და დიდი სარგებლობაც მოაქვს ხალხისთვის. ათასგვარი ავადმყოფობა მძვინვარებს სოფლად. ხალხი უწამლოდ და უექიმოთ იქნება დარჩენილი, რომ აფთიაქის მაღაზია არ არსებობდეს. ექიმი თუმცა აქ არ არის მახლობად, მაგრამ ხალხში დიდი ნდობა და გამოცდილი მკურნალის სახელი აქვს მოხუცებული ფერშალ-მღვდელს ვასილ ზარიძეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ადამიანი დაუზარელი მუშაკია ყოველგვარ კულტურულ საქმეში და შეძლებისდაგვარათ დახმარებას უწევს მას.

სანოვაგე ძლიერ გაძვირებულია ფუთი სიმინდის ფასი ორ მანეთამდის და მეტზედაც ადის. ადგილობრივი ვაჭრები ხომ ისე არ გაყიდიან საქონელს თუ ღირებულების ზევით ორი ფასი არ აიღეს

რამდენსამე პირს განუზრახავს კოოპერატიული დუქნის დაარსება, რაც დიდათ შეუწყობს ხელს უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივნულ გლეხობას. ვუსურვებთ მათი განზრახვა განხორციელებული იყოს.

საჭიროა მეტი სიფრთხილე—მეტი ერთგულება საზოგადო საქმისადმი.

ქედისუბნელი.

სოფლის მღვდლის შენიშვნის გამო.

(„სახალხო ფურცლის“ № 510.)

ეტყობა ეს პირი სოფლის მღვდლათ ახლათ უნდა იყოს დანიშნული: ამ ორიოდე დღის წინათ, როგორც თვითონ ამბობს, მხოლოდ ჟურნალში ამოკითხული წერილიდგან გაუგია მავნებლობა სოფლის მავნე ჩვეულებათაგან ჩვენი ხალხის ეკონომიურათ დაქვეითებისათვის.

„სოფლის მღვდელს“ რომ ბეჯითად ედევნებია თვალყური ქართულ ჟურნალ-გაზეთებისათვის, იქ ის ამოიკითხავდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, როგორც სასულიერო, ისე საერო პირთაგან მრავალ გზით ცდას, ამ ჩვეულებების მოსასპობათ. (მაგ., ბ. ძიძიგურის მოქმედება მთელს გურიაში ამ ჩვეულების მოსპობის შესახებ. იმერეთის გურია-სამეგრელოს და ეპარქიების საბლაღოჩინო სამღვდელოებათა დადგენილებანი ამავე საგანზე. ჩემი წერილი ამის შესახებ „სასოფლო გაზეთი“-ს 1913 წ. № 36 ნომერში „დროა ჩავუფიქრდეთ“-ის სათაურით და მრავ. სხვ.)

მაგრამ, იმედია, ამისთანა წერილებითა და ჩიჩინით აღარ დაგვჭირდეს აწი ხალხის შეწუხება, რადგან ამ 2—3 წლის მწვავე ეკონომიურმა დაქვეითებამ, სიმშილმა და ათასგვარმა უბედურებამ ხალხი თვითონ დაარწმუნა ამ ჩვეულებათა გადაგდების აუცილებლობაში.

ამ ერთი თვის წინათ შემთხვევით შევხვდი სოფელ თერჯოლის ერთ პატივცემულ პირს ბატ. კარპეზ ყიფიანს და ამ საგანზე ლაპარაკი ჩამოვაგდეთ:

— თქვენ არ მომიკვდეთ, სთქვა მოსაუბრემ, ახლა ხვეწნა აღარავის სჭირდებოდეს, რომ დიდსა და სანაქებო გასვენებას და ქორწილებს თავი დაანებეთო; ჩვენი სოფლის რამდენიმე მეკომურმა ისე გაასვენეს თავისი მიცვალებული, რომ ერთი ჭიქა ღვინოც არ დახარჯვიათო.

აგრეთვე რამდენიმე პირმა ქორწილი ისე გადაიხადა, რომ მეზობლები სახტად დავრჩით და ისიც ძლივს შევიტყვეთ, ამ ოჯახებმა გაათხოვეს, თუ თვითონ ითხოვეს.

და განა ერთსა და ორ სოფელში ხდება ამისთანა მაგალითები! და აბა რა გზა აქვთ, რომ ასე არ მოიქცენ!... სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ქართველ კაცს განა სიზმრად მოსჩვენებია ჩაფი ღვინის ფასი 10—15 მანეთამდე?..

დიაღ, დრომ თავისი მოიტანა! დააბოლავა მოსაუბრემ.

დროა, ჩვენმა ხალხმა ეკონომიურ მომჭირნეობაში მიბაძოს სომხისა და ებრაელების ხალხს და თუ გინდ ნემსებს, რომ ჩვენც ნივთიერათ გავღონიერდეთ და ტყვილა უბრალოთ არ ვფლანგავდეთ უზომო ხარჯებისათვის.

გამოცდილებით ვიცით, თუ ჯიბე სქელი არა გაქვს, ყურს არავინ გათხოვებს, და თუ ეს ითქმის კერძო პირზე, მით უმეტეს სათქმელია მთელს ერზე. ნივთიერათ გაღონიერებულს ერს ყველაფრის გაკეთება შეუძლია.

მღვდ. **ვლად. მაჭარაშვილი.**

მცირე შენიშვნა.

ყველგან ჩვენში სასოფლო სკოლებს თავისი მზრუნველები ჰყავს. მზრუნველი კანონით ერთი უნდა იყოს. ამ ბოლო დროს სამოსწავლო მთავრობამ სკოლებს სამზრუნველოები დაუწესა. სამზრუნველო სამი პირისაგან შესდგება. ყველა ამ პირს საზოგადოება ირჩევს. უპირველეს ყოვლისა სამზრუნველოს მოვალეობას შეადგენს სკოლის ოჯახური მხარე განაგოს. მასწავლებელს ნება არა აქვს სკოლის საჭიროებისათვის რაიმე ნივთი იყიდოს სამზრუნველოს ნება დაურთველად, და თუ იყიდის, უსათუოდ უსიამოვნებას წააწყდება თავზე და მზრუნველობის მხრით, საყვედურს გარდა, საჩივარსაც უნდა მოელოდეს. თითქმის ყველგან სამზრუნველოს წევრები მასწავლებლის მოპატიჟებაზე სკოლის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ ზანტათ იკრიბებიან. ეს არც გასაკვირალია, მიტომ, რომ ჩვენს გლეხობას ამ ჟამად მაინც იმდენი თავისი ოჯახური თავსამტკრევი საქმე აქვს, რომ სკოლისათვის, საიდანაც არაფერს არ გამოელის, ნივთიერად, არ სცალია. ამის გამო მასწავლებელს თავის დროზე არც შეშა აქვს და არც სწავლისათვის სხვა საჭირო ნივთი რის გამოც სწავლა სკოლაში ფერხდება. სწავლის შეფერხებაში კი მთელი ბრალი დაედებათ იმ დაუდევარ მზრუნველებს, რომელნიც ხალხის მიერ არიან ამორჩეული. სამზრუნველოს წევრებმა კარგათ უნდა გაითვალისწინონ თავისი მოვალეობა და თავისი დაუდევრობით და უმოქმედობით სწავლის საქმე ისედაც მოუწყობელს ჩვენ სოფლის სკოლებში, არ შეაფერხონ.

მ. ბუაჩიძე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 3 მარტი. ბრაზილიიდან იუწყებიან, რომ ომის დასაწყისში იქ თავი შეაფარა „ჰამბურგის“ ფირმის რამდენიმე გემმა, რომელთაც 2 მარტს გაქცევა სცადეს, მაგრამ ბრაზილიის არტილერიამ უკანვე დააბრუნა.

კოპენჰაგენი. ავსტრიეთის ჯართა მთავარი ბინა იუწყება: ავსტრიეთ-იტალიის ასპარეზზე ბრძოლა გაცხოველდა იტალიელები თავგამოდებით მოქმედებენ იზონცოს და ტიროლის ფრონტებზე.

რომა. რომიდან იუწყებიან: ცნობილმა სოციალ რეფორმისტმა ტანეპომ პალატაში აღნიშნა, რომ იტალიისთვის აუცილებლად საჭიროა ნაციონალ სამინისტროს შედგენა სადაც შევლენ ყველა არსებულ პარტიის წარმომადგენელნი. ტანეპომ ამასთანავე განაცხადა, რომ იტალია ამ მოკლე ხანში გერმანელებთან ომს უნდა ელოდესო.

სტოკჰოლმი. ქრისტიანიიდან იტყობინებიან: ნორვეგიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გემ სილიუსის დაღუპვის გამო გერმანიის მთავრობას მოსთხოვა დასტური შესახებ იმისა, რომ მართლა გერმანიის წყალქვეშამ დაღუპა ხსენებული გემი თუ საკუთარ ნაღმს წააწყდა. როგორც გამოირკვა, გემი დაუღუპავს გერმანიის აეროპლანებიდან ჩამოგდებულ ყუმბარას.

ბელგეთის ფრონტი.

პარიზი. ქეტსასის, ლაგერმნის და ენის სამხრეთით და ვილომუს მიდამოებში, ფრანგებმა გერმანელებს სასტიკი საარტილერიო ბრძოლა გაუმართეს.

ვევრთან მძაფრი ბრძოლა მოხდა სადაც ფრანგებმა რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს.

ბელგეთის ცნობა.

ჰავრი. გარდა საარტილერიო სროლისა, პეოვიეს სამხრეთით, არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ვერდენთან.

2 მარტი. მთელმა დღემ ვერდენის ფორტებთან წყნარად ჩაიარა, გერმანელებს აღარ განუახლებიათ იერიშები. ბეტენკურესთან ფრანგებმა უკანვე დაიბრუნეს წინა დღით დაკარგული ადგილები.

კოპენჰაგენი. ვოლფის სააგენტო იუწყება, უკანასკნელი სხდომა რეიხსტაგისა დაიწყო პრეზიდენტის ვრცელი სიტყვით, რომელმაც განაცხადა რომ გერმანია ახლო მომავალში ეპირება სამხედრო სესხის აღებაო.

ბერლინიდან ცნობაა—ადმირალმა ფონ-ტერპიცმა სამსახურს თავი დაანება მის მოადგილეთ ფონკს ასახელებენო.

ლონდონი. 2 მარტი. პალატაში საობლიგაციო სესხი უარჰყვეს.

ლონდონი. გენერალმა პეიტონმა 2 მარ. დაიკავა სოლუმში ოსმალთა ჯარმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწია. ინგლისის კავალერია მხნეთ ეკვეთა დამარცხებულ მტერს და ტყვეთ წამოიყვანა 28 კაცი მათში 3 ოფიცერი დავლათ წამოიღო 250,000 პატრონი.

ვაშინგტონი. ამერიკის ჯარები მექსიკაში წინსვლას განაგრძობენ. 1 მარტ ამერიკის რეგულიარი ჯარი საზღვარს რამდენიმე ვერსის მანძილით გასცილდა.

ნიუიორკი. დადასტურდა ხმა შესახებ ამერიკის ჯარის მექსიკის მონაწილე (კოლუმბასთან) შეჭრისა.

ტოკიო. 2 მარტი. საზღვაო სამხედრო სამინისტრომ სამხედრო ფლოტის შესანახი ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინა. ხარჯი ამ ომის დროს ერთი ორად გადიდებულა.

რუსეთი.

დონის როსტოვი

კავკავ—დონის ახალ სავაჭრო გზაზე მიმოსვლა დაიწყო.

პასუხად ბ. კ. ახ—ნს.*)

გაზ. „სამშობლოს“ 293 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ს. ამბროლაურიდან ვინმე კ. ახ—ნისა, რომელშიდაც მოყვანილი ფაქტები სრულიად სიმართლეს მოკლებული არის.

საყურადღებოა სწორედ, რად დასჭირდა ბ. კორესპონდენტს ყალბი ცნობების შეკრება და მით პატივცემული გაზეთის რედაქციისა და მკითხველი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, ეს იმ დროს, როდესაც ადგილობრივად უფრო საყურადღებო ამბები ხდება, რომელიც ღირსი არის დაგმობისა და გამოქვეყნების. მაგრამ ბ. კ. ახ—ნი რომ დაინტერესებული იყოს სიმართლით, მაშინ მას, თვითონ თუ არ იცოდა საქმის ვითარება, სხვისთვის მაინც უნდა გამოეკითხა და უტყუარი ფაქტები მიეწოდებინა რედაქციისათვის.

სხვათა შორის, მოყვანილ კორესპონდენციაში ბ. ახ—ნი ეხება ადგილობრივ სამკითხველოს და სწერს: სამკითხველოს გაზეთებს გზაშივე იტაცებენ, ხვევენ და ისე უბრუნებენ სამკითხველოსო, ეს ცნობა სრულიად მოკლებულია სიმართლეს; ეს შეიძლება უწინ ხდებოდა, და ისიც იშვიათად, სანამ მე გამგეთ ამომირჩევდენ: ახლა კი მსგავსი იმისა არაფერი ხდება.

მერმეთ, მე მეხება პირადათ, როგორც აღნიშნული სამკითხველოს გამგეს და შეუფერებლად და უღიერად მიხსენიებს, რომლის ღირსიც, მგონია, არ უნდა ვიყო. რომ სცოდნოდა ბ. კორესპონდენტს საქმის ვითარება და კერძოთ ჩემი ღვაწლი, რაც მე ამ სამკითხველოს არსებობისათვის დავსდე და კიდევ ეხლაც ვზრუნავ, მაშინ იგი ასე შეუფერებლათ არ მომიხსენიებდა. ჯერ ერთი, რომ, სანამ ოფიციალურ გამგეთ ამირჩევდენ, სამკითხველოს გამგე არავინ ყავდა და არც არავინ ყურადღებას აქცევდა, მაშინაც მე განვაგებდი ფაქტიურად, ერთ დღიურ გაზეთს და ერთ ჟურნალს ვუწერდი ჩემის ხარჯით და ახლაც ვუწერ. წარსული წლის პირველ დეკემბრიდან მე თვით ამომირჩიეს გამგეთ, და დღემდე უსასყიდლოდ განვაგებ, ვინაიდან სამკითხველოს სახსარი არ აქვს.

ბ. ახ—ნი ეხება სამკითხველოს დაკეტვას და ამბობს: ყოველთვის დაკეტილიაო, ესეც ზედმეტი ტყვილი ცნობაა.

სამკითხველო თავის განსაზღვრულ დროს არაოდეს არ ყოფილა დაკეტილი, ჩემი გამგეობის დროს.

დასასრულ ბ. ახ—ნი მე მიკიჟინებს, ვითომც არ ვიყო დაინტერესებული [illegible] საზოგადო საქმით, არ [illegible] სამკითხველოს ჯეროვან ყურადღებას, ეს ფაქტი [illegible] ბევრი რომ არ [illegible] ამას გულუბრყვილო [illegible] რემ სხვა არავინ. ეს იმას ნიშნავს, „[illegible] შენ გითხარი, გული მოგიკალიო“.

სამკითხველოს გამგე მასწ.

ბიქ. არაბიძე.

---

*) ვსწუხვართ, რომ რედაქცია შეცდომაში შეიყვანა ბ. კორესპონდენტმა—კ. ახ—ნმა.

რედ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50
„	— საღამ.	—6 ს.	57
ბათომიდან	— დღისით	—1 ს.	25
„	— ღამის	— 2 ს.	23
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	8
ტყიბულიდან	—საღამოს	— 7 ს.	39
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	—დილის	— 11 ს.	55
„	— ღამის	— 1 ს.	7
ბათომისაკენ	— დღისით	—5 ს.	30
„	— დილის	— 4 ს.	27
ფოთისკენ	—დღისით	— 4 ს.	27
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20
შორაპნისაკენ	—დღით.	— 5 ს.	—

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახ
საზოგადოება

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგა
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-და
ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩემ
კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალა
ქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლ
მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26.
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.
7 თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძ**

ქუთაისი.
ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მიღებულია ვენახის ასაპრავი საუკ
ჭილი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო
ქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავადმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავადმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ-სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, აახლებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავადმყოფებას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ უწერენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავადმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილის** საფთიაქო მაღაზიაში.
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ განთავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავადმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლავრი ავადმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ეხლანი. თუნდაც მცირე დოზა საწყობო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავადმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უჭირავს მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

(წლიური) 9 დოქტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.

მაწრაფელმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.